

# საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №881  
2023 წლის 6 იანვარი

ქ. თბილისი

**„ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 16 იანვრის №494 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

## **მუხლი 1**

„ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 16 იანვრის №494 ბრძანებით (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ([www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)), 17/01/2020 წ., სარეგისტრაციო კოდი: 010240060.22.027.016990) დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის:

ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მონიტორინგის ცენტრს ხელმძღვანელობს უწყებათაშორისი საბჭოს მდივანი, რომელიც ამავდროულად არის საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსი.“;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. მონიტორინგის ცენტრის საქმიანობის ორგანიზებასა და ტექნიკურ დახმარებას უზრუნველყოფს უწყებათაშორისი საბჭოს სამდივნო, რომელიც შედგება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობებისა და სამართლებრივი თანამშრომლობის დეპარტამენტის თანამშრომლებისაგან.“.

## **მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2023 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ ურთიერთობებზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი

რატი ბრეგაძე

